სს „თელიანი ველი”-ს

ხმების 75%-ზე მეტის მფლობელი აქციონერის გადაწყვეტილება

2018 წლის 7 დეკემბერს სს „თელიანი ველი“-ს (ს/კ: 203855444, შემდეგში „საზოგადოება“) აქციონერის - სს „საქართველოს კაპიტალი“-ს (ს/კ: 404549690) (შემდგომში – „აქციონერი“) მიერ, რომელიც წარმოდგენილია მისი გენერალური დირექტორის მოადგილის ავთანდილ ნამიჩეიშვილის სახით (რწმუნებულება, გაცემული 2018 წლის 3 მაისს სს „საქართველოს კაპიტალი“-ს გენერალური დირექტორის ი. გილაურის მიერ, დამოწმებული ნოტარიუს ი. შარვაძის მიერ, რეესტრში რეგისტრაციის #180497245, სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი: 08668502856718), მიღებულ იქნა გადაწყვეტილებები ქვემოთ მითითებულ საკითხებზე.

ვინაიდან „აქციონერი“ ფლობს სს „თელიანი ველის“-ის ჩვეულებრივი აქციების და შესაბამისად, ხმების 75%-ზე მეტს, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 54.1[1] მუხლისა და სს „თელიანი ველის“-ის წესდების 7.1.2 პუნქტის თანახმად, წინამდებარე გადაწყვეტილება აქციონერთა საერთო კრების ოქმის ტოლფასია და ითვლება კრების გადაწყვეტილებად.

<u>**დღის წესრიგი:**</u>

1. სს „თელიანი ველი“-ს სამეთვალყურეო საბჭოში ცვლილების დამტკიცების შესახებ;
2. უფლებამოსილების მინიჭების შესახებ;
3. ცვლილებების რეგისტრაციის შესახებ.

<u>**„აქციონერის“ მიერ მიღებული იქნა შემდეგი გადაწყვეტილებები:**</u>

1. დამტკიცდეს „საზოგადოების“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრის - დავით მაცაბერიძის (პ/ნ: 01019001597) დაკავებული თანამდებობიდან გადადგომა და მის ნაცვლად, სააქციო საზოგადოება „თელიანი ველი“-ს სამეთვალყურეო საბჭოს წევრის თანამდებობაზე დაინიშნოს **ბ-ნ შოთა ხობელია** (პ/ნ: 01026006647, მცხოვრები: საქართველო, ქალაქი თბილისი, ვიქტორ დოლიძის ქუჩა, კორპუსი 26, ბინა 31);

2. მიენიჭოს უფლებამოსილება სს „თელიანი ველი“-ს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეს და გენერალურ დირექტორს, რათა მათ, ერთობლივად და/ან ცალ-ცალკე, „საზოგადოების“ სახელით ბ-ნ შოთა ხობელიასთან გააფორმონ შესაბამისი სასამსახურო ხელშეკრულება, განსაზღვრონ ხელშეკრულების ნებისმიერი და ყველა ძირითადი პირობა, ანაზღაურების პირობის ჩათვლით, ხელი მოაწერონ ზემოაღნიშნულ ხელშეკრულებას და მასთან დაკავშირებულ ნებისმიერ სხვა დოკუმენტაციას და ასევე, შეასრულონ ამასთან დაკავშირებული ყველა საჭირო მოქმედება;

3. მიენიჭოს უფლებამოსილება **მარიამ თითბერიძეს** (პ/ნ: 01017042743), რათა მან, ერთპიროვნულად უზრუნველყოს ზემოაღნიშნული ცვლილების კანონით დადგენილი წესით გაფორმება/რეგისტრაცია, ასევე ხელი მოაწეროს ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით ყველა საჭირო დოკუმენტს, მათ შორის და არა მხოლოდ სარეგისტრაციო განაცხადებს და სხვა დოკუმენტებს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში და შეასრულოს ამასთან დაკავშირებული ყველა საჭირო მოქმედება.

„აქციონერი“-ს სახელით:

/_____/

ავთანდილ ნამიჩეიშვილი

სს „საქართველოს კაპიტალი“-ს
გენერალური დირექტორის მოადგილე

LEPL LEGISLATIVE HERALD OF GEORGIA

Digitally signed by LEPL LEGISLATIVE HERALD OF GEORGIA
DN: cn=LEPL LEGISLATIVE HERALD OF GEORGIA, 2.5.4.97=NTRGE-203862622, o=[illegible], c=GE
Date: 2018.12.14 18:00:08 +03'00'